

საოლქო კომისიაში არც ერთი სარიპარკო არ შესულა

უპრეცედენტო შემთხვევა მოხდა ლანჩხუთის საარჩევნო ისტორიაში – საოლქო კომისიაში არც ერთი საჩივარი არ შესულა.

სრულიად სხვა მოლოდინი ჰქონდა საზოგადოებას არჩევნებთან დაკავშირებით. ოპოზიციური განწყობა იყო ხაზგასმული და ამომრჩევლებს ეგონათ, რომ ხელისუფლება გააყალბებდა, რასაც შედეგად მმართველი პარტიის და ამ პარტიის კანდიდატის გამარჯვება მოჰყვებოდა. მაგრამ, პირველი ოქტომბრის საღამოს 8 საათის შემდეგ სურათი ასეთი დაიძლია: რეალურად გურიის სამივე რაიონში ოპოზიციურმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ და ამ პარტიიდან წარდგენილმა კანდიდატებმა ყველაზე მეტი ხმები მიიღო.

ლანჩხუთში დიდიდანვე დაიწყო ვნებათაღელვა. უბნებზე ხალხის მიდინება განსაკუთრებით დილის საათებში იყო მეტად ინტენსიური. საღამოს კი თანდათან შეთხელდა. მიუხედავად მცირეოდენი ექსცესებისა, სერიოზული დარღვევა არ დაფიქსირებულა. განსაკუთრებით მშვიდი გარემო სუფევდა საოლქო საარჩევნო კომისიის ტერიტორიაზე.

არჩევნებს აკვირდებოდნენ უცხოელი და ადგილობრივი დამკვირვებლები.

კიდევ ერთხელ უნდა აღვნიშნო, რომ პოლიტიკურად მოწინააღმდეგე მხარეები ერთმანეთის მიმართ გამოირჩეოდნენ ცივილური დამოკიდებულებით. აქ ყველა მშვიდად ელოდებოდნენ შედეგებს.

რვა საათისათვის უბნები ჩვეულებრივად დაიხურა და მღელვარება სწორედ ამ დროისთვის დაიწყო. დაინტერესებული ადამიანები საოლქო კომისიის ტერიტორიას არ მოშორებოდნენ. პირველი უბანი, რომელიც 10-ის 15 წუთზე შემოვიდა, იყო ყველაზე პატარა სოფლის, ორაგვის მე-13 საარჩევნო უბანი. ორი საათის შემდეგ იწყო მასიური მოდინება საოლქო კომისიაში, რომელიც დილის 8 საათზე, თითქმის ყოველგვარი ექსცესების გარეშე დასრულდა.

ჩვენ ვესტუმრეთ ლანჩხუთის 61 ოლქის საარჩევნო კომისიას და გავესაუბრეთ მის თავმჯდომარეს ზვიად ნაკაიძეს და თავმჯდომარის მოადგილეს ლაშა კილაძეს (სხვათაშორის აღსანიშნავია, საოლქო კომისიის ხუთივე წევრს გავლილი აქვს ბრიჯის პროგრამა,

ანუ დემოკრატიის მმართველობისა და არჩევნების სფეროში რესურსების განვითარების პროგრამა).

ზვიად ნაკაიძე: „არჩევნებმა მშვიდ ვითარებაში ჩაიარა. პატარა-პატარა ექსცესებს ადგილი ჰქონდა წარმომადგენლების მხრიდან. კომისიებმა დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგად გაართვეს. სულ ორი შენიშვნა მიიღეს, რომელიც მე-9 და მე-11 უბნებზე დაფიქსირდა. საჩივარი, რომელიც განხილვას ექვემდებარებოდა, არ ყოფილა. შემთხვევითი ოქმის მიღების შემდეგ, დროებით წევრებს უფლებამოსილება შეუწყდებოდა და ძირითადი ხუთი წევრი ჩვეულებრივად გააგრძელებს მუშაობას საოლქო კომისიაში.“

ლაშა კილაძე: „არჩევნებმა ლანჩხუთში მშვიდ გარემოში ჩაიარა. არანაირი განცხადება-საჩივარი ოლქში არ შემოსულა, აქედან გამომდინარე, მთელმა საღამომ მშვიდ გარემოში ჩაიარა. ჩვენთან იმყოფებოდნენ საერთაშორისო დამკვირვებლები, რომლებიც გაცხადებდნენ დარღვევების გრძობით წავიდნენ ოლქიდან. წარმოიდგინეთ, 38 საარჩევნო უბანია ლანჩხუთში და კიდევ, ერთხელ ვაცხადებ არც ერთი საჩივარი არ დაფიქსირდა. შეიძლება იყო პატარა დარღვევები, მაგრამ ის ადგილები იქნა აღმოფხვრილი. ალბათ ეს ყველაფერი საარჩევნო ადმინისტრაციების დამსახურებაა, რომელთაც ძალიან დიდი სამუშაო ჩაატარეს და პრევენციული ზომები იქნა ზომები მიღებული, რომ კომისიებს ემუშავათ საარჩევნო კოდექსის დაცვით.“

ავტო სარჯველაძე, კოალიცია „ქართული ოცნების“ იურისტი: „არჩევნებმა ნორმალური ვითარებაში ჩაიარა. მნიშვნელოვან, სერიოზულ დარღვევას ადგილი არ ჰქონია. ჩვენ გვქონდა კავშირები საარჩევნო უბნებთან და სისტემატურად ვღებულობდით ინფორმაციებს. იყო დარღვევები, რომლებიც დაფიქსირდა, შევიდა რეგისტრაციის ყურნალში შესაბამისი განცხადებები, მაგრამ სერიოზული, როგორც არის სისხლის სამართლებრივი - ასეთი დარღვევები არ ყოფილა არც ერთ უბანზე.“

როგორც იურისტი, ვთვლი, რომ ლანჩხუთში ჩატარდა სამართლიანი არჩევნები.“

რეპაზ ჩიტიძე, საკრებულოს თავმჯდომარე,

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელი: „პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები იყო სერიოზული გამოცდა ქართული სახელმწიფოსთვის. საქართველოში და, მათ შორის ლანჩხუთში, არჩევნები რომ დემოკრატიულად ჩატარდა, ამას აღიარებს უამრავი საერთაშორისო დამკვირვებელი. ჩვენთან საუბრო კომისიებში წესრიგი სუფევდა, არანაირი ექსცესი და დარღვევა არ ჰქონია ადგილი. მშვიდ გარემოში მიმდინარეობდა ხმის მიცემა. სიმართლე რომ გითხრათ, ნამდვილად არ ველოდი ასეთ შედეგს, ვფიქრობდი, რომ თანაბარი ბრძოლა იქნებოდა. ეს არის ხალხის არჩევანი და მათ არჩევანს პატივი უნდა ვცეთ.“

მაშ ასე, ლანჩხუთში „ქართულმა ოცნებამ“ და მისმა მაჟორიტარმა კანდიდატმა, თემურ ჩხაიძემ გაიმარჯვა, ისევე როგორც გურიის სხვა რაიონებშიც იმარჯვა ოპოზიციურმა მხარემ. საოლქო-საარჩევნო კომისიამ კი თავის მოვალეობას საკმაოდ წარმატებულად გაართვეს თავი.“

ლელა კვიციანი

სტატია მომზადებულია გაეროს დემოკრატიის ფონდის მხარდაჭერით. სტატიის შინაარსზე პასუხისმგებელია სამოქალაქო განვითარების ინსტიტუტი და მასში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა, არ ასახავდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და გაერთიანებული ერების დემოკრატიის ფონდის შეხედულებებს.



ეს იყო კალიან დიდი ბრძოლა

ობა და შეურაცხყოფაც შეგვხვდა, რადგან მკაცრად ვადგენდით თვალ-ყურს უბნებს. აი, ამ ამბების დამგვრები და შემოქმედი ხალხი ახლა თავს იწონებს, რომ ყველაფერი მშვიდად ჩატარდა და სურს გააძელოს ხელისუფლებას იყოფნა. მე პირადად ვიზრუნებ, რომ ასეთი ხალხი მოშორდეს ასპარეზს, ეს უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ.“

სოსო ბლაქაძე აღმფრთვითულობა ჩამოთვალა იმათი გვარები, ვინც მათი დაკვირვებით „იღწოდა“ ამომრჩეველთა მოსყიდვისათვის და ვინც შენიშვნაზე, ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფაზე გადადიოდა. არჩევნების წინა დამესვით ვაქტივობად დაყვებოდნენ „სახელისუფლებით“ მიკროავტობუსს, რომ არ მიეცათ თანხების დარიცხვის საშუალება.

– ახლა თურმე ფულს უკან თხოვლობენ, – თქვა სოსომ, – ამხელა წინების ქვეშ იყო ხალხი და მაინც თავისი ნება გამოხატა. ეს იყო სახალხო მოძრაობა და მაღლობა უნდა ვუთხროთ ბატონ ბიძინას, რომ ხალხს მისცა საშუალება განეხორციელებინა საკუთარი უფლება.

არჩევნების მოსაგებად ბრძოლა იყო წარმოუდგენლად სასტიკი. მოსყიდვები, დაშინებები, ხელის შეშლა „ქართული ოცნების“ აქტივისტებისათვის, ხომ გახსოვთ რა რაოდენობით მძიმე ტექნიკა იღვა ხან აქ, ხან – იქ, გადათხარეს ყველაფერი, დაიწყეს სკვერებისა და გზების კეთება და ეს ყველაფერი ახლა შეჩერებულია. კეთილი ინებონ და გააგრძელონ სამუშაოები.

გაზეთების საშუალებით ვთხოვ ყველას, რაც საქმე აქვთ დაწყებული, იმყოფებოდნენ ბოლომდე. საჯარო სამსახურებმა უნდა გააგრძელონ თავიანთი საქმე. ჯერ უფ-

ლებები გადაბარებული არ არის და ჯერ ჩვენ არ ხელგვეწიფება ამ საქმეების კეთება.

ბრიფინგზე გამოვიდა ბატონი **შოთა ფირცხალაიშვილი**, რომელიც ჩამოთვალა პოლიციის მალაჩინოსანთა გვარები, რომლებიც აუტანელ ზეწოლას ახორციელებდნენ ხალხზე: ტელეფონით აშინებდნენ, მანქანები ჩამოართვეს, და აჯარიმეს.

ელგუჯა ჩხაიძე განაცხადა, რომ ხელს ვერ ჩამოართმევს იმ სამსახურის უფროსებს, ვინც მხარს უჭერდნენ ძალადობას, დასმენას, მოსმენებს. აქ ადგილობრივ თვითმმართველობაზე იყო საუბარი, არ არიან ისინი ხალხის მიერ არჩეულები, ისინი სოლის და კულის მიერ არიან არჩეულნი. ახლა კი სამსახურების უფროსებმა და ეგრეთ წოდებულმა დეპუტატებმა გადაიცივეს ხუთნობრიანი წითელი მასიურები და გაასწორონ ხრეში, თორემ გზებზე არ გაივლება.

რომან ბიწაძე საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდა, ჩამოტოვებინდეს და გააგრძელოს ასფალტის დაგება მამათსა და ძიმით შორის. ყველაფერი ეს ხომ საარჩევნო ფანდი იყო და არ გამოუვიდათ.

„ლანჩხუთში პოზიტიურ ჰრილობაში წარმართა არჩევნები, არ იყო ლანძღვა-გინება, ქვების სროლა, მაგრამ დაშინების და მოსყიდვის იმდენი ფაქტია, ვერ ჩამოთვლი, – თქვა რომან ბიწაძემ, როგორც კი პარლამენტის სხდომა გაიმართება, შეიქმნება კომისია, რომელიც გამოიძიებს წინა არჩევნებს, საპარლამენტოსაც და თვითმმართველობისაც, არჩეული არიან თუ არა, მათ მოუწევთ სახლში წასვლა.“

განცხადება გააკეთა ბატონმა **ნუგზარ ჩხაიძემ**: „მე არანაირი საჯარო სამსახურში არ ვაპირებ მუშა-

ობას, თუმცა არ ვემიჯნები ამ გუნდს, მათთან ერთად ვიყავი არჩევნებზე, ისინი ღირსეული ხალხია. ჩემი მიზანია, გაავარძელო ჩემი საქმე, ჩემი ბიზნესი. მე მინდა ლანჩხუთში იყოს საწარმო, რომელსაც ექნება თავისი ბრენდი წარწერით: „დამზადებულია ლანჩხუთში“. მე მყავს პარტნიორები, რომლებთან ერთად შევქმენი საწარმო, მაგრამ შექმნილი მდგომარეობის გამო მის მუშაობა შევაჩერეთ, ახლა აღვადგენ.“

გია მაჭარაშვილი მაღლობა გადაუხადა ამომრჩევლებს მხარდაჭერისათვის.

შტაბის უფროსმა **გიორგი გეგიაძემ** კი განაცხადა: „მე მინდა მივულოცო ლანჩხუთს და ამჟამ ვარ, რომ გურიის არის რეგიონი, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა, გურიამ ასახვლა საქართველო. შტაბის წევრებს სათითაოდ არ ჩამოგივლით, ყველა მუშაობდა თავდადებით.“

მინდა მაღლობა გადავუხადო ყურნალისტებს, განსაკუთრებით „ინფო-9“-ს, მაღლობა კოორდინატორებს, ქვეკოორდინატორებს, ჩვენს აქტივს. ეს იყო ძალიან დიდი ბრძოლა, რომელშიც სამართლიანობამ გაიმარჯვა.

მე მინდა მივულოცო არჩევნებში გამარჯვება თემურს და ვუთხრა, რომ მან თავის კარიერაში ყველაზე უბრწყინვალესი 95-ე, გოლი გაიტანა.

მე დღეს ლანჩხუთში თავისუფლად დავდივარ და რომ არა გამარჯვება, დღეს ჩვენ სხვაგან გვექნებოდა პრესკონფერენცია.“

შტაბიდან თუ ოფისიდან თემურ ჩხაიძე თბილისში გაემგზავრა ჩვენ ველოდებით ცვლილებებს.

ქეთევან ნაკაშიძე

ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის განხილვა

5 ოქტომბერს ქალაქ ბათუმში, სასტუმრო „ერა პალასში“ გაიმართა ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის გურია-აჭარა-სამეგრელოს რაიონული ორგანიზაციების შეხვედრა, რომელიც დაფინანსებული იყო IRI-ს მიერ. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: გიორგი თარგამაძე, ლევან ვეფხვაძე, ნიკოლაიშვილი და სხვები.

ჩვენ, უკვე ყოფილი ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის წევრები, ვალდებული ვართ მოვახსენოთ და საქმის კურსში ჩავაყენოთ ჩვენი მოსახლეობა. ჩვენ დავტოვეთ პარტია. დიახ, ჩვენ დავტოვეთ პარტია ანუ ლანჩხუთში ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის ორგანიზაცია არ არსებობს. ჩვენ ეს გადაწყვეტილება სპონტანურად არ მივიღეთ, ამ გადაწყვეტილებამდე მივდით ყოველდღიური დაკვირვების შემდეგ. ჩვენ ძალიან კარგი დამოკიდებულება გვქონდა კოალიცია „ქართული ოცნებაში“ შემავალ პარტიებთან. გვქონდა და გვაქვს დღესაც რამდენიმე მაგალითსაც მოგიყვანოთ – მას შემდეგ, რაც ქართულ პოლიტიკურ სივრცეში გამოჩნდა პოლიტიკური სუბიექტი „ქართული ოცნება“ იმ დღიდან ჩვენ მათთან გვქონდა კონსტრუქციული ურთიერთობა. ლანჩხუთის „ქართული ოცნების“ ლიდერებთან (ბოლქვაძე, ბიწაძე, ჩხაიძე). კოალიციის მხრიდან ჩვენთან მოლაპარაკებას აწარმოებდა რომან ბიწაძე. ჩვენ შევთანხმდით, რომ მაჟორიტარი კანდიდატი არ გვეყოლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს საკმაოდ რთული თემა

იყო. უფრო მეტიც, ჩვენ „ქართული ოცნებას“ დავეთმეთ საუბრო საარჩევნო კომისიების წევრები და არამარტო უბნების დონეზე. საოლქოში ჩვენ ორი წევრი „ქართული ოცნებას“ დავეთმეთ. მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, განსხვავებით სხვებისაგან, ჩვენ კომისიები დავეთმეთ „ქართულ ოცნებას“ ყოველგვარი სხვა ვალდებულებების აღების გარეშე. ბუნებრივია, გაჩნდა კითხვები ჩვენს მიმართ საკრებულოში მუშაობის შესახებ. მოგახსენებთ, გულწრფელად ვითანამშრომლებთ ყველასთან, ვისაც უყვარს ლანჩხუთი და ლანჩხუთელები. ვფიქრობთ, საქართველოს პარლამენტში შეიქმნება კომისია, რომელიც შეისწავლის, როგორც წესს ჩატარებულ საპარლამენტო არჩევნებს, ასევე 2010 წლის თვითმმართველობის არჩევნებს. ძნელი გამოსაცნობი არ არის, რომ 2010 წელს ნაციონალურმა თვითმმართველობის არჩევნები გააყალბა. გამომდინარე აქედან, ალბათობა იმისა, რომ ძალთა კონფიგურაცია ლანჩხუთის საკრებულოში შეიცვალოს, დიდია.

ამიტომაც გადავწყვიტე დავმდგარიყავი იქ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა დგას. მინდა კიდევ ერთხელ გულწრფელად მივულოცო „ქართულ ოცნებას“ გამარჯვება. ამასთანავე, მინდა დიდი მაღლობა გადავუხადო ლანჩხუთის თითოეულ ამომრჩეველს, რომლებმაც სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღეს.

მარიკა თურნავა